PACE TERMINAL
შ.პ.ს. პეის ტერმინალი

N 29

18 მაისი 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

შპს პეის ტერმინალი ანხორციელებს კომპანიის ტერიტორიისა და ახალი ნავსადგურის აკვატორიის ფარგლებში ნავმისადგომის კომპლექსის მშენებლობა-რეკონსტრუქციას. პროექტზე 2016 წელს გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა (N 59, 21.11.2016).

სანებართვო პირობების შესაბამისად (პირობა N6 და პირობა N7) სამუშაოს დაწყებამდე მომზადდა და 2021 წლის 22 თებერვალს სამინისტროს წარედგინა (სამინისტროს რეგისტრაციით N 3063, 23.02.2021) ფსკერდაღრმავებითი სამუშაოების წარმოების პროექტი და ინფორმაცია ამოღებული ნატანის მართვის საკითხთან დაკავშირეით.

2016 წელს პროექტზე დასკვნის გაცემის შემდეგ ჩატარებული დამატებითი კვლევების დროს დასაღრმავებელი ტერტორიის ერთერთ წერტილში დაფიქსირდა ტრიბუთილკალას არსებობა. დაიგეგმა ამ წერტილის და მიმდებარე უბნიდან მასალის ნაწილის ხმელეთზე ამოტანა-რემედიაცია, რაც აისახა პირობების N6 და N7 შესაბამისად სამინისტროში წარდგენილ დოკუმენტაციაში.

2021 წლის 21 აპრილს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისგან მიღებული საპასუხო წერილის (N 3917/01, 21.04.2021) თანახმად, დრეგირებული ნატანის ნაწილის ხმელეთზე ამოღების საკითხი, რომელიც დეტალურად არ იყო განხილული 2016 წელს ექსპერტიზაზე წარდგენილ გზშ-ს ანგარიშში მიჩნეულ იქნა საწარმოო ტექნილოგიის შეცვლად.

ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა წარმოგიდგენთ ზემოხსენებული ცვლილებისთვის მომზადებულ სკრინინგის განცხადებას.

გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,
შპს „პეის ტერმინალის დირექტორი
დავით ნადირაშვილი

წერილს თან ერთვის:
1. დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიში
2. შესაბამისი შეიპ ფაილი.

N1 DAVITAIA ST ▪ 4406 ▪ POTI ▪ GEORGIA
PHONE: +995 32 2914701; +995 493 279 724 ▪ E-MAIL: pace@pace.ge

№ 8560
"18" 05 2021
1